ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზნები

1.1. ეს დებულება განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და საქმიანობის წესს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესს, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების კრიტერიუმებს, დოქტორანტურაში მიღების წესს, დოქტორანტურის აკადემიურ შინაარსს და ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ძირითად ფუნქციებს/მოვალეობებს, დოქტორანტურის მიზნებს, სადისერტაციო ნაშრომის და სადოქტორო პორტფოლიოს დაცვის წესს, ხოლო ამ საკითხებთან დაკავშირებული დავების წარმოშობის შემთხვევაში, მათი გადაჭრისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს;

1.2. დოქტორანტურის ძირითადი მიზნებია ახალი თაობის მომზადება მეცნიერებასა და ხელოვნებაში, უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი პოტენციალის განვითარება და გაფართოება;

1.3. სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სტუდენტი იღებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს. სტუდენტს ენიჭება ეს ხარისხი იმ შემთხვევაში, თუ მან:

ა) გამოავლინა საკუთარი სფეროს/დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;

ბ) გამოავლინა კვლევის ან/და შემოქმედებითი პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი;

გ) განახორციელა ორიგინალური კვლევა ან შექმნა ორიგინალური კომპოზიცია/საშემსრულებლო ინტერპრეტაცია, რომელიც აფართოებს ცოდნის საზღვრებს და რომელიც (მთლიანად ან ნაწილობრივ) იმსახურებს რეფერირებულ გამოქვეყნებას და/ან საერთაშორისო დონის პუბლიკაციას/რეცენზირებას; ან ჰქონდა საჯარო შესრულება/გამოფენა/კრიტიკული გამოხმაურება;

დ) აქვს ახალი და კომპლექსური იდეების კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და სინთეზის უნარი; შეუძლია საერთაშორისო სამეცნიერო / სახელოვნებო სფეროს თემატურ დისკუსიაში მონაწილეობის მიღება;

1.4. დოქტორანტურის ფარგლებში განხორციელებული კვლევითი ან/და შემოქმედებითი პროექტები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას;

1.5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო ერთეულების ბაზაზე;

1.6. ფაკულტეტს შეუძლია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართოს სხვა სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო დაწესებულებები უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

1.7. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი შესაძლოა ახორციელებდეს საგანმანათლებლო პროგრამებს ადგილობრივი ან საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების გაცვლას, ან ერთობლივი, ორმაგი ან რამდენიმე ხარისხის მინიჭებას.

მუხლი 2. სადისერტაციო საბჭო

2.1. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზნით მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭო ქმნის შესაბამისი დარგის/სპეციალობის მიხედვით სადისერტაციო

საბჭოს. ინტერდისციპლინური კვლევის შემთხვევაში, დარგობრივი კომისია იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კომისიის წევრის/წევრების ნომინირების შესახებ;
2.2. სადისერტაციო საბჭო იქმნება ყოველი კონკრეტული დისერტაციის ან სადოქტორო პორტფოლიოს განხილვისათვის და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის;
2.3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოები იქმნება ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან; აგრეთვე ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლისაგან, რომელთაც აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ სამეცნიერო ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი და რეცენზენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საერთაშორისო შეთანხმებით ან/და სხვა პარტნიორული ხელშეკრულებით დადგენილია და შეთანხმებულია განსხვავებული პირობები.(ცვლილება 26.12.2019)
2.4. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდეს მინიმუმ ერთი მოწვეული წევრი, ადგილობრივი ან საერთაშორისო საგანმანათლებლო ან კვლევითი დაწესებულებიდან. მოწვეული წევრი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე შესაბამისი დარგის სპეციალისტი/მკვლევარი/აკადემიური პერსონალი/მეცნიერ-თანამშრომელი/საერთაშორისო რეპუტაციის მქონე ხელოვანი, რომელიც არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას. მოწვეული წევრის/წევრების მოწვევა უნდა მოხდეს შემდეგი წესის დაცვით: დარგობრივი კომისია მოიძიებს სადისერტაციო საბჭოს პოტენციურ წევრეს/ებს და მისი/მათი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს კანდიდატურას/ებს დამტკიცების მიზნით. მოწვეულ წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრთა რაოდენობას;
2.5. ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის სადისერტაციო საბჭოს წევრობისა და რეცენზენტების კანდიდატთა სიას ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამისი დარგობრივი კომისია. ასევე, დარგობრივი კომისია ფაკულტეტის საბჭოს ასარჩევად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას;
2.6. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის/სადოქტორო პორტფოლიოს შესრულება ან/და დაცვა ხდება უცხო ენაზე, შესაბამისი დარგის/სპეციალობის სადისერტაციო საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უცხო ენის ფლობის კომპეტენცია; (ცვლილება 26.12.2019)
2.7. შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება აქვს, აცილება მისცეს სადისერტაციო საბჭოს წევრს/წევრებს, რა შემთხვევაშიც ის არგუმენტირებულ განცხადებას წერს ფაკულტეტის დეკანის სახელზე. განცხადება განიხილება დარგობრივი კომისიის მიერ დეკანის მონაწილეობით. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება დოქტორანტს. სადისერტაციო საბჭოს წევრი/წევრები შეიძლება შეიცვალონ იმ პრინციპით, რა პრინციპითაც ხდება სადისერტაციო საბჭოს შექმნა;
2.8. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი;
2.9. ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო საბჭო თავის შემადგენლობიდან საბჭოს მდივანს ირჩევს ღია კენჭისყრით, რომელიც როგორც გადაწყვეტილება, აისახება სადისერტაციო საბჭოს ოქმით;
2.10. სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. ოქმს თან ახლავს ასევე სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხელმოწერები.

მუხლი 3. დარგობრივი კომისია

3.1. დარგობრივი კომისიები იქმნება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამების და მიმართულებების მიხედვით;
3.2. დარგობრივი კომისია შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის პროფესორებისაგან, ასოცირებული პროფესორებისაგან, პროფესორ - ემერიტუსებისაგან და ასისტენტ-პროფესორებისგან. მისი თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით;
3.3. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის/სადოქტორო პორტფოლიოს შესრულება ან/და დაცვა ხდება უცხო ენაზე, დარგობრივი კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უცხო ენის კომპეტენცია (ინგლისური ან გერმანული), რომელიც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით ან შესაბამის უცხოენოვან აკადემიურ პროგრამაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტით (ცვლილება 26.12.2019).
3.4 დარგობრივი კომისია მონაწილეობს დოქტორანტურაში მიღებასთან და სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებში, როგორიცაა:
ა) დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველების განაცხადების მიღება, განხილვა და შეფასება, მათთან ზეპირი გამოცდის ჩატარება;
ბ) პროსპექტუსის ან პორტფოლიოს მონახაზის დაცვა;
გ) სადისერტაციო საბჭოს წევრთა სიის და თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსათვის;
დ) სადისერტაციო ნაშრომის/პორტფოლიოს დაცვისათვის რეცენზენტების შერჩევა და წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსათვის;
ე) დოქტორანტის პუბლიკაციის შესაბამისობის დადგენა მის სადისერტაციო თემასთან და შესაბამისი დასკვნის წარდგენა დეკანისთვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის წარდგენის მიზნით; რეცენზირებული საჯარო შესრულების შემთხვევაში, შესაბამისობის დადგენა მის პორტფოლიოს ტიპთან და შესაბამისი დასკვნის წარდგენა დეკანის სახელზე;
ვ) დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელის შეცვლის, თანახელმძღვანელის დამატების ან ხელმძღვანელის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე უარის განაცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
ზ) დოქტორანტის მიერ კვლევის თემატიკის ან მიმართულების შეცვლის განაცხადის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
თ) დოქტორანტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში მისი კვლევითი თემატიკის აქტუალობის განხილვა.(დამატება 26.12.2019)

3.5 ამ მუხლის 3.1, 3.2 და 3.3 პუნქტებით განსაზღვრული პირობები შესაძლოა არ გავრცელდეს ადგილობრივი და საერთაშორისო შეთანხმების ან/და სხვა ხელშეკრულებით დადგენილი პირობების ფარგლებში.

მუხლი 4. ადმინისტრაციული მხარდაჭერა
სადისერტაციო საბჭოს და დარგობრივი კომისიების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ისევე, როგორც ყველა სახის საქმისწარმოებას ახორციელებს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

თავი II. დოქტორანტურაში მიღება

მუხლი 5. დოქტორანტურაში სწავლის უფლება
დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

მუხლი 6. დოქტორანტურაში მიღება

6.1. დოქტორანტურაში მიღებას, ფაკულტეტის საბჭოს ან დეკანის წარდგინების საფუძველზე, აცხადებს რექტორი. მიღება შეიძლება გამოცხადდეს როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის სემესტრისათვის. დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) შევსებული ანკეტა;
ბ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი (5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომის ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის შესაბამისობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) 2 ფოტოსურათი;
ე) ავტობიოგრაფია (CV);
ვ) შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე მიღებისთვის დამტკიცებული, აპლიკანტის მიერ შევსებული და მისი პოტენციური ხელმძღვანელის ხელმოწერილი კვლევითი განაცხადი (განაცხადის ფორმები განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, პროგრამაზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე). უნივერსიტეტებს შორის პარტნიორული, ადგილობრივი ან საერთაშორისო შეთანხების შემთხვევებში, აპლიკანტს შეიძლება არ მოეთხოვებოდეს ხელმძღვანელის თანხმობის წარმოდგენა;
ზ) სხვა დოკუმენტები/პირობები, რომელსაც შეიძლება ითხოვდეს ცალკეული პროგრამა.
6.2. რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა განისაზღვროს დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია;
6.3. დოქტორანტობის კანდიდატები გადიან ტესტირებას ინგლისურ ან გერმანულ ენაში (B2 დონე). ტესტირების მინიმალური ზღვარი დგინდება ყოველი პროგრამისთვის ინდივიდუალურად, მიეთითება პროგრამაზე მიღების პირობებში და მიღების გამოცხადების შესახებ ფაკულტეტის წარდგინებაში; (ცვლილება18.07.2018)
6.4 გერმანული ენის ძირითად ენად ჩაბარება შესაძლებელია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მხოლოდ ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამასა და ფილოლოგიის მიმართულებებზე. კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამაზე გერმანული ენის ძირითად ენად ჩაბარება შესაძლებელია 2022 წლის 1 ოქტომბრამდე; (ცვლილება 30.08.2022)
6.5. გერმანული ენის არჩევის შემთხვევაში აპლიკანტს მოეთხოვება დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B1 დონეზე. ტესტირების მინიმალური ზღვარი დგინდება ყოველი პროგრამისთვის ინდივიდუალურად, მიეთითება პროგრამაზე მიღების პირობებში და მიღების გამოცხადების შესახებ ფაკულტეტის წარდგინებაში;(ცვლილება 18.07.2018)
6.6. ინგლისური ან გერმანული ენის ტესტისაგან თავისუფლდებიან აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ ვალიდურ საერთაშორისო სერტიფიკატს ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის ვალიდურ სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე. ტესტისაგან თავისუფლდებიან აგრეთვე ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისურენოვანი ან გერმანულენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომს (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში, დიპლომთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ, ხოლო საქართველოში მიღებული განათლების შემთხვევაში - დიპლომის დანართი ან ცნობა პროგრამის განხორციელების ენის შესახებ);
(ცვლილება18.07.2018)
6.7. ინგლისური ან გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატების შესაბამისი დონეები და ქულები გაიწერება ცალკეული პროგრამების კურიკულუმებში;(ცვლილება 18.07.2018)
6.8. უცხო ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების ან ცოდნის დადასტურების შემდეგ აპლიკანტის მიერ პროგრამაზე წარმოდგენილი დოკუმენტები/ფორმები იგზავნება შესაბამისი

დარგობრივი კომისიის წევრებთან განსახილველად და შესაფასებლად. პოტენციური ხელმძღვანელი კანდიდატის შეფასებაში არ იღებს მონაწილეობას. განაცხადის მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები დგინდება თითოეული პროგრამისთვის ინდივიდუალურად და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე. დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, აპლიკანტი გაივლის ზეპირ გამოცდას;

6.9. დარგობრივი კომისიის მიერ ზეპირი გამოცდის შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების, კრიტერიუმების და რუბრიკების მიხედვით. ზეპირი გამოცდის მოთხოვნები, კრიტერიუმები და რუბრიკები თითოეული პროგრამისთვის დგინდება ინდივიდუალურად და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე. პარტნიორული, ადგილობრივი ან საერთაშორისო თანამშრომლობის შემთხვევაში, დოქტორანტის მიღებისა და ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნას განსხვავებული წესით;

6.10. სადოქტორო პროგრამის აპლიკანტის ერთიანი სარეიტინგო ქულის დაანგარიშების წესი ინდივიდუალურად განისაზღვრება თითოეული პროგრამისთვის და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე პროგრამაზე მიღების გამოცხადებისთანავე;

6.11. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით;

6.12. კანდიდატმა მე-6 მუხლის 6.11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მე-6 მუხლის 6.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარება.

მუხლი 7. მობილობა დოქტორანტურაში

7.1. დოქტორანტურაში პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, პროგრამის წინაპირობების დაცვით;

7.2. ჩარიცხვისა და კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტი და მიღებულ გადაწყვეტილებას წარუდგენს რექტორს;

7.3. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ახორციელებს საერთაშორისო მობილობას, სასწავლო კომპონენტის ფარგლებში მას უფორმდება შესაბამისი შეთანხმება (learning agreement). პროგრამის კომპონენტებში შეთანხმებით განსაზღვრული კრედიტების გათვალისწინება ხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ კრედიტების აღიარების შემდეგ. იმ შემთხვევაში, როცა დოქტორანტი ახორციელებს საერთაშორისო მობილობას კვლევითი კომპონენტის ფარგლებში, მან ფაკულტეტზე უნდა წარმოადგინოს თავისი ხელმძღვანელის და თანახელმძღანელის მიერ ხელმოწერილი კვლევის გეგმა (research aganda);

7.4. ეს მუხლი ვრცელდება ასევე იმ პროგრამებზე, რომელიც ხორციელდება პარტნიორული, ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობით თუ სხვა რამ არ არის დარეგულირებული აღნიშნული ხელშეკრულებებით.

თავი III. დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 8. დოქტორანტურის აკადემიური სტრუქტურა

8.1. სადოქტორო პროგრამებს უნივერსიტეტის მისიისა და ინსტიტუტებში/ცენტრებში მიმდინარე კვლევითი პროექტების გათვალისწინებით შეიმუშავებს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი (ცალკეულ შემთხვევებში- გარე პარტნიორებთან ერთად) და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროგრამა დასამტკიცებლად ეგზავნება აკადემიურ საბჭოს;(ცვლილება 26.12.2019)

8.2. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 5 წელია, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური პროგრამით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ ასრულებს პროგრამის მოთხოვნებს 5 წლის დასრულების შემდეგ, მას უფორმდება დამატებითი ერთწლიანი ფასიანი ხელშეკრულება, შესაბამისი პირობების გათვალისწინებით;

8.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, მათი თანმიმდევრობა და მოცულობა კრედიტებში განისაზღვრება ინდივიდუალურად, ყოველი სადოქტორო პროგრამისათვის;(ცვლილება 26.12.2019)

8.4 სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს, ხოლო კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის კომპონენტის მოცულობის გაანგარიშება უნდა მოხდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N 69/ნ ბრძანების დებულებათა გათვალისწინებით;(ცვლილება 26.12.2019)

8.5. დოქტორანტმა შეიძლება ისარგებლოს აკადემიური შვებულებით, სტატუსის შეჩერებით საუნივერსიტეტო წესის შესაბამისად. სამი აკადემიური წლის შემდეგ სტატუსის აღდგენის მიზნისათვის, სტატუსის აღდგენამდე დოქტორანტის საკვლევი თემის აქტუალობის საკითხს განიხილავს დარგობრივი კომისია დოქტორანტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე;(ცვლილება 26.12.2019)

8.6. უნივერსიტეტში შეიძლება არსებობდეს ერთობლივი ან გაცვლითი სადოქტორო პროგრამები, რომელთა პირობები განისაზღვრება შესაბამისი დოკუმენტაციით (ხელშეკრულებები, მემორანდუმები, კურიკულუმები და ა. შ.).

მუხლი 9. სამეცნიერო ხელმძღვანელი

9.1. სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, პროფესორ-ემერიტუსი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, არის დარგის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას;

9.2. ხელმძღვანელი თანხმობას დოქტორანტობის კანდიდატის სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე ადასტურებს სადოქტორო განაცხადის შესაბამის ფორმაზე ხელმოწერით. სადოქტორო პროგრამაზე კანდიდატის ჩარიცხვის შემთხვევაში, ხელმძღვანელი ერთვება დოქტორანტის სწავლის და კვლევის პროცესში. ცალკეულ შემთხვევებში, რომელიც დარეგულირებული იქნება უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის შეთანხმებით, შესაძლებელია სამეცნიერო ხელმძღვანელმა ხელმძღვანელობის თანხმობა განაცხადოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით;

9.3. საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელი. სამუსიკო ხელოვნებაში თანახელმძღვანელი ასევე შესაძლოა იყოს საერთაშორისო რეპუტაციის მქონე კომპოზიტორი ან შემსრულებელი;

9.4. დასაშვებია, დოქტორანტს ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც მოწვეული იქნება სხვა, მათ შორის უცხო ქვეყნის, აკადემიური დაწესებულებიდან საერთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში ან დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით. თანახელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს ხელმძღვანელისთვის განსაზღვრულ ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნას;(ცვლილება 26.12.2019)

9.5. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის/სადოქტორო პორტფოლიოს შესრულება ან/და დაცვა ხდება უცხო ენაზე, სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი უცხო ენის კომპეტენცია (ინგლისური ან გერმანული), რომელიც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით ან შესაბამის უცხოენოვან აკადემიურ პროგრამაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტით;(ცვლილება 26.12.2019)

9.6. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე/თანახელმძღვანელობაზე, მან განცხადება უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის დეკანს;
9.7. სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის სურვილის შემთხვევაში, დოქტორანტმა წერილობითი მოთხოვნით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს. დეკანი მოთხოვნას განსახილველად წარუდგენს დარგობრივ კომისიას და შესაბამისი გადაწყვეტილება ეცნობება დოქტორანტს;
9.8. სამეცნიერო ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობებია:
სამეცნიერო ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. კონსულტაცია მოიცავს დოქტორანტის პროგრესზე პერიოდულ უკუკავშირს. ზოგადი სამეცნიერო რჩევების მიცემას, კვლევის დიზაინსა და პროექტის მენეჯმენტში დახმარებას, ასევე თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის/სადოქტორო პორტფოლიოს წერის პროცესში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში დახმარებას; აგრეთვე სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების შესახებ რჩევების მიცემას. სამეცნიერო ხელმძღვანელი წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის/სადოქტორო პორტფოლიოს შესახებ დასკვნას და უკუკავშირს;(ცვლილება 26.12.2019)
9.9. დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური თანამდებობის მქონე პირი შეიძლება ხელმძღვანელობდეს მაქსიმუმ ხუთი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს. გამონაკლისი შეიძლება დაიშვას განსაკუთრებულ შემთხვევებში;
9.10. საერთაშორისო, პარტნიორული და ადგილობრივი თანამშრომლობის შემთხვევაში, სამეცნიერო ხელმძღვანელს შესაძლოა განესაზღვროს დამატებითი ფუნქციები და მოვალეობები, რომლებიც გაწერილი იქნება თანახელმძღვანელობის შესახებ შეთანხმებაში.

მუხლი 10. სადისერტაციო ნაშრომის გეგმა (პროსპექტუსი) და პორტფოლიოს პროექტი (პორტფოლიოს მონახაზი)
10.1. საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ ვადაში დოქტორანტმა დარგობრივი კომისიის წინაშე განსახილველად უნდა წარადგინოს სადისერტაციო ნაშრომის პროექტი - პროსპექტუსი, რომელშიც აღწერილი იქნება:
ა) თავფურცელი;
ბ) განაცხადი;
გ) სარჩევი;
დ) აბრევიატურის ჩამონათვალი;
ე) ლიტერატურის მიმოხილვის რუკა/სქემა;
ვ) საკვლევი საკითხი/პრობლემა;
ზ) ლიტერატურის მიმოხილვა;
თ) კვლევის მიზანი საკვლევი კითხვა/კითხვები, საჭიროების შემთხვევაში - ჰიპოთეზა;
ი) მეთოდოლოგია;
კ) კვლევის შეზღუდვები;
ლ) კვლევის გეგმა;
მ) ბიბლიოგრაფია.

10.2. სამუსიკო ხელოვნების მიმართულებით დოქტორანტურაში სწავლისას სასწავლო პროგრამით დადგენილ ვადაში დოქტორანტმა დარგობრივი კომისიის წინაშე განსახილველად უნდა წარადგინოს სადოქტორო პორტფოლიოს მონახაზი (პორტფოლიოს პროექტი), რომელშიც აღწერილი იქნება:
ა) თავფურცელი;
ბ) განაცხადი;
გ) სარჩევი;

დ) აბრევიატურის ჩამონათვალი;
ე) ლიტერატურის და სხვა რელევანტური მასალის (სანოტო, აუდიო, აუდიო-ვიზუალური) მიმოხილვის რუკა/სქემა;
ვ) პორტფოლიოს ტიპი და მიზანი;
ზ) პორტფოლოს შემოქმედებითი კომპონენტის კონცეპტუალური და ტექნიკური მხარეები;
თ) საკვლევი საკითხი/პრობლემა და მისი კავშირი პორტფოლიოს შემოქმედებით კომპონენტთან;
ი) ლიტერატურის და სხვა რელევანტური მასალის (სანოტო, აუდიო, აუდიო-ვიზუალური) მიმოხილვა;
კ) შემოქმედებითი ტექნიკები/ხერხები და კვლევის მეთოდოლოგია;
ლ) პორტფოლიოს შემოქმედებითი ასპექტის და კვლევის შეზღუდვები;
მ) პორტფოლიოზე მუშაობის გეგმა;
ნ) ბიბლიოგრაფია და სხვა რელევანტური მასალები.

თავი IV. სადისერტაციო ნაშრომის და სადოქტორო პორტფოლიოს წარდგენა, დაცვა და ხარისხის მინიჭება

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის და სადოქტორო პორტფოლიოს წარდგენის პროცედურა

11.1. დისერტანტმა სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება სამეცნიერო პუბლიკაციის სტანდარტებს და გაფორმებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის დაცვით, ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად და ელექტრონული სახით უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას;
11.2. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს დარგობრივი კომისია პროსპექტუსის დაცვის დროს. პარტნიორული, ადგილობრივი ან საერთაშორისო თანამშრომლობის შემთხვევაში, ნაშრომის ენის საკითხი წინასწარ შეთანხმდება და დარეგულირდება შეთანხმებით;
11.3. დისერტაციაში ნაწილის სახით უნდა შევიდეს შემაჯამებელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე, რომელშიც წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი სამეცნიერო შედეგები, დასაბუთებულია მათი სამეცნიერო სიახლე, ღირებულება და აქტუალობა შესაბამის სამეცნიერო დისციპლინაში; იმ შემთხვევაში თუ ნაშრომი შესრულებულია უცხო ენაზე, დისერტაციაში შემაჯამებელი ნაწილის სახით უნდა შევიდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და შესაბამის უცხო ენაზე.(ცვლილება 26.12.2019)
11.4. სადისერტაციო ნაშრომს თან უნდა ახლდეს:
   ა) ცნობა დაგროვებული კრედიტების შესახებ;
   ბ) ხელმოწერილი განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს;
   გ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, ასევე თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის მზაობის შესახებ;
   დ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შესაბამისი დარგობრივი კომისიის დასკვნები დოქტორანტის საერთაშორისო პუბლიკაციის/პუბლიკაციების ამ დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
11.5. სამუსიკო ხელოვნების პროგრამაზე სწავლისას, დისერტანტმა სადოქტორო პორტფოლიო, რომელიც შეესაბამება შემოქმედებითი/საშემსრულებლო პორტფოლიოს პუბლიკაციის ფორმალურ სტანდარტებს და გაფორმებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის დაცვით, ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად და ელექტრონული სახით უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას. პორტფოლიო უნდა შეიცავდეს ასევე სავალდებულო საჯარო შესრულების აუდიო/აუდიო-ვიზუალურ ჩანაწერ(ებ)ს;
11.6. პორტფოლიოში შემავალი სანოტო პარტიტურები გამზადებული უნდა იყოს ერთ-ერთი სანოტაციო კომპიუტერული პროგრამის საშუალებით და წარმოდგენილი იყოს ქაღალდზე,

ამობეჭდილი და აკინძული. აუდიო და აუდიო-ვიზუალური ჩანაწერები წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული ციფრული ფორმატით;

11.7. პორტფოლიოს თანმხლები წერითი კომენტარი ან დისერტაცია უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე მათი შესრულების საკითხს წყვეტს დარგობრივი კომისია სადოქტორო პორტფოლიოს მონახაზის (პორტფოლიოს პროექტის) დაცვის დროს;

11.8. პორტფოლიოში ნაწილის სახით უნდა შევიდეს შემაჯამებელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე, რომელშიც წარმოდგენილია სადოქტორო პორტფოლიოს ძირითადი შედეგები, დასაბუთებულია მათი სიახლე, ღირებულება და აქტუალობა შესაბამის დისციპლინაში; იმ შემთხვევაში თუ ნაშრომი შესრულებულია უცხო ენაზე, დისერტაციაში შემაჯამებელი ნაწილის სახით უნდა შევიდეს რეზიუმე როგორც ინგლისურ, ასევე, ქართულ ენაზე.

11.9. პორტფოლიოსთან ერთად დისერტანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ცნობა დაგროვებული კრედიტების შესახებ;

ბ) ხელმოწერილი განაცხადი, რომ სადოქტორო პორტფოლიო მისი დამოუკიდებელი შემოქმედებითი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს;

გ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და თანახელმძღვანელის(ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის მზაობის შესახებ;

დ) ინფორმაცია საჯარო შესრულების შესახებ თანმხლები აუდიო/აუდიო-ვიზუალური ჩანაწერით და რეცენზიებით დარგის აღიარებული სპეციალისტებისგან;

11.10. წარმოდგენილი დისერტაცია/პორტფოლიო უნდა მიეწოდოს ფაკულტეტის მიერ სადისერტაციო საბჭოს წევრებსა და რეცენზენტებს. დისერტაციის/პორტფოლიოს გაცნობის, განხილვისა და შენიშვნებისათვის სადისერტაციო საბჭოს წევრებსა და რეცენზენტებს აქვთ ვადა არაუმეტეს ორი თვისა. სადისერტაციო საბჭო და რეცენზენტები მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით უნიშნავენ დოქტორანტს შესაბამის ვადას რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. შენიშვნები და რეკომენდაციები ეგზავნება დოქტორანტს. შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ, ინიშნება დისერტაციის/პორტფოლიოს დაცვა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაშრომი არადამაკმაყოფილებელია. სადისერტაციო ნაშრომის/პორტფოლიოს დაცვაზე დოქტორანტმა უნდა შეძლოს შენიშვნების, რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში სადოქტორო ნაშრომის ვიზუალიზაცია ან მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, არგუმენტირებულად დაიცვას თავისი პოზიცია საბჭოს წინაშე.

მუხლი 12. საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულება

12.1. დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue) სამეცნიერო პუბლიკაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი;

12.2. დოქტორანტს შესრულებულად ეთვლება მე-12 მუხლის 12.1 პუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტმა სტატია გამოაქვეყნა უცხოურ რეფერირებად ჟურნალში ან სტატია გამოაქვეყნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში/ებში, რომლებიც შესულია 12. 1 პუნქტით განსაზღვრულ ნუსხებში;

12.3. დოქტორანტი უნდა იყოს გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიის პირველი ან მეორე ავტორი. დარგობრივი კომისია ფაკულტეტს წარუდგენს დასკვნას სადისერტაციო ნაშრომთან პუბლიკაციის შესაბამისობის შესახებ. ასეთი შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში პუბლიკაცია ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამზადებს დასკვნას ამ დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან პუბლიკაციის შესაბამისობის შესახებ. დარგობრივი კომისიის ან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულება არ ჩაეთვლება დოქტორანტს დაკმაყოფილებულად;
12.4. სამუსიკო ხელოვნების დოქტორანტებს ჩატარებული უნდა ჰქონდეთ მინიმუმ ერთი საჯარო შესრულება, რომელსაც თან ახლავს დარგის აღიარებული სპეციალისტის რეცენზიები, მინიმუმ ორი. საჯარო შესრულებაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი;
12.5. საჯარო შესრულების აუდიო/აუდიო-ვიზუალური ჩანაწერისა და რეცენზიების საფუძვლეზე დარგობრივი კომისია ფაკულტეტს წარუდგენს დასკვნას მისი სადოქტორო პორტფოლიოსთან შესაბამისობის შესახებ. დარგობრივი კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, საჯარო შესრულების ვალდებულება დოქტორანტს დაკმაყოფილებულად არ ჩაეთვლება.

მუხლი 13. სადისერტაციო საბჭოს შექმნა, რეცენზენტების დანიშვნა და სადისერტაციო ნაშრომის/პორტფოლიოს შეფასება

13.1. დარგობრივი კომისიის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნების მიღების შემდეგ, გონივრულ ვადაში, დარგობრივი კომისია მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისა და რეცენზენტების (მინიმუმ 2) დანიშვნის მოთხოვნით;
13.2. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის/სადოქტორო პორტფოლიოს შესრულება ან/და დაცვა ხდება უცხო ენაზე, სადისერტაციო საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უცხო ენის კომპეტენცია (ინგლისური ან გერმანული), რომელიც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით ან შესაბამის უცხოენოვან აკადემიურ პროგრამაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტით.(ცვლილება 26.12.2019)
13.3. რეცენზენტების ნომინირებისას დარგობრივი კომისია ხელმძღვანელობს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:
ა) რეცენზენტები შეიძლება იყვნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი/პროფესორ-ემერიტუსი/ მეცნიერ-თანამშრომელი ან მოწვეული პირები (ადგილობრივი ან საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებიდან/კვლევითი ინსტიტუტიდან), რომლებსაც აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი, დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე არიან უახლესი ცოდნით აღჭურვილი და აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომი/სადოქტორო პორტფოლიო შესრულებულია უცხოურ ენაზე, რეცენზენტებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უცხოური ენის კომპეტენცია;
ბ) სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო პორტფოლიოს რეცენზენტები შეიძლება იყვნენ ასევე საერთაშორისო რეპუტაციის მქონე ხელოვნები: კომპოზიტორები ან შემსრულებლები;
გ) რეცენზენტებსა და დოქტორანტს/ხელმძღვანელებს შორის არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი, (მაგ. მიმდინარე პროექტებში თანამშრომლობა და სხვა);
დ) იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის/სადოქტორო პორტფოლიოს შესრულება ან/და დაცვა ხდება უცხო ენაზე, რეცენზენტებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უცხო ენის კომპეტენცია (ინგლისური ან გერმანული), რომელიც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით ან შესაბამის უცხოენოვან აკადემიურ პროგრამაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტით.(ცვლილება 26.12.2019)

13.4. სადისერტაციო საბჭოს მუშაობას ესწრება ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელიც აფორმებს სათანადო დოკუმენტებს;
13.5. სადისერტაციო ნაშრომის/პორტფოლიოს შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სისტემით:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
13.6. საბოლოო შეფასებას სადისერტაციო საბჭოს წევრები წერენ კონსენსუსის გზით;
13.7. თუ დისერტანტმა მიიღო უარყოფითი შეფასება - ,,არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო“, მან გადამუშავებული ნაშრომი უნდა წარადგინოს ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, მიუხედავად სტუდენტის სტატუსისა. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი არ წარმოადგენს გადამუშავებულ ნაშრომს, დოქტორანტი აკადემიური ჩამორჩენილობის გამო გაირიცხება უნივერსიტეტიდან. ხოლო, თუ დისერტანტმა მიიღო შეფასება - ,,სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს“ მან უნდა წარადგინოს ახალი ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში.

მუხლი 14. დისერტაციის / სადოქტორო პორტფოლიოს დაცვა

14.1. დისერტაციის/პორტფოლიოს დაცვა არის საჯარო და ხდება სადისერტაციო საბჭოს წინაშე. დისერტაციის/პორტფოლიოს დაცვის შესახებ ინფორმაცია (ადგილი, დრო, თარიღი) ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ნაშრომის დაცვამდე ერთი კვირით ადრე;
14.2. დაცვის ენა არის ქართული, თუ დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი;
14.3. დაცვის პროცესის ხანგრძლივობას და რეგლამენტს ადგენს სადისერტაციო საბჭო;
14.4. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის/პორტფოლიოს წარდგენას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას;
14.5. ხელმძღვანელს აქვს დაცვაზე დასწრების უფლება. დისერტაციის და დისერტანტის შესახებ ის მოსაზრებას გამოთქვამს იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო საბჭო მას შეკითხვით მიმართავს;
14.6. დისერტაციის/პორტფოლიოს დაცვის შეფასება ხდება 13.4 პუნქტში მოცემული სისტემის მიხედვით.
14.7. საერთაშორისო ან ადგილობრივი თანამშრომლობის შემთხვევაში, დისერტაციის დაცვის ორგანიზების საკითხი დარეგულირდება საერთაშორისო, ადგილობრივი, ან საპარტნიორო შეთანხმებით.

მუხლი 15. ხარისხის მინიჭება და გამოქვეყნების ვალდებულება

15.1. დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის სადისერტაციო საბჭო;
15.2. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა;
15.3. დოქტორანტის მიერ 13.7. პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემდეგ, სადისერტაციო საბჭოს მიერ ისევ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი სწავლის შედეგების მიუღწევლობის გამო;
15.4. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ ერთი თვის ვადაში ატვირთოს დისერტაცია/პორტფოლიო უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

15.5. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა დისერტაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთვის შემდეგ.

თავი V. დავები, დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა და დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა

მუხლი 16. გასაჩივრების პროცედურა

დოქტორანტურაში სწავლის პროცესში წარმოქმნილ ნებისმიერ პრობლემას, წერილობითი განცხადების საფუძველზე, განიხილავს დარგობრივი კომისია.

მუხლი 17. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება

დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა ან შეჩერება ხდება საუნივერსიტეტო წესისა და ამ დებულების მიხედვით:

ა) თუ დოქტორანტი ზედიზედ ორჯერ ვერ დაიცავს პროსპექტუსს/პორტფოლიოს მონახაზს ან დისერტაციას/პორტფოლიოს, რაც ითვლება აკადემიურ ჩამორჩენილობად;

ბ) თუ დოქტორანტის მიერ დარღვეულია უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკის კოდექსი და სხვა საუნივერსიტეტო წესები;

გ) თუ დადასტურდა პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების შემთხვევა;

დ) თუ დოქტორანტი არ ან ვერ დაასრულებს პროგრამას ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში, რაც ითვლება აკადემიურ ჩამორჩენილობად;

ე) და სხვა საქართველოს კანონმდებლობით ან საუნივერსიტეტო წესებით დადგენილ შემთხვევებში.

მუხლი 18. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

18.1. დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით, აკადემიური საბჭოს წინაშე შეიძლება დაისვას დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობის საკითხი აკადემიური და კვლევის ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში;

18.2. აკადემიური ხარისხი ბათილად იქნება ცნობილი, თუ დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომში/სახელოვნებო პორტფოლიოში დადგინდა პლაგიატი;

18.3. აკადემიური საბჭო ამ გადაწყვეტილებას იღებს თავად ან ქმნის შესაბამის კომისიას.

მუხლი 19. დოქტორანტურაში სწავლის საფასური

19.1. სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების ამ მუხლის 19.3 პუნქტში გაწერილი ვადების შესაბამისად დაკმაყოფილების შემთხვევაში, დოქტორანტურაში სწავლა უფასოა 5 წლის განმავლობაში. სწავლა ფასიანია უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. შესაძლებელია აგრეთვე, დოქტორანტურაში მიღება გამოცხადდეს ფასიან ადგილებზე;

19.2. დოქტორანტურაში სწავლის შესაბამისი სემესტრიდან სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების ვადაში შეუსრულებლობისას ამ მუხლის 19.3 პუნქტის შესაბამისად ან სწავლის მეექვსე წლიდან დოქტორანტმა უნდა გადაიხადოს იმ დროისათვის დადგენილი სწავლის საფასური;

19.3. თუ დოქტორანტს ჩარიცხვიდან და სწავლის დაწყებიდან 1 წლის შემდეგ არ ექნება დაცული პროსპექტუსი/სადოქტორო პორტფოლიოს მონახაზი (პორტფოლიოს პროექტი) ან სწავლის მე-6 სემესტრის ბოლოს არ წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის/პორტფოლიოს პირველ ვერსიას, მან უნდა გადაიხადოს სწავლის საფასური ყოველი შემდეგი სემესტრისათვის უნივერსიტეტში დადგენილი საფასურის რაოდენობითა და წესით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, 5 წლის შემდეგ დამატებით აფორმებს ერთწლიან ხელშეკრულებას, მას ეკისრება სწავლის გადასახადი ხელშეკრულების გაფორმების დროისთვის განსაზღვრული სწავლის გადასახადის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ შეასრულა პროგრამით

გათვალისწინებული მოთხოვნები დამატებითი კონტრაქტის დასრულების შემდეგ, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

თავი VI. გარდამავალი დებულებები
მუხლი 20.

20.1. ამ დებულების მე-12 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები ეხება წინა წლებში ჩარიცხულ დოქტორანტებსაც.

20.2. ამ დებულების 12.3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების (სამეცნიერო პუბლიკაციის პირველი ან მეორე ავტორობა, შესაბამისობა სადისერტაციო ნაშრომთან) დაკმაყოფილებისაგან შეიძლება გათავისუფლდეს:

ა) 2008 წლის 20 მარტიდან 2015 წლამდე ჩარიცხული ყველა მიმართულების დოქტორანტი, რომელიც წარმოადგენს 12.1 პუნქტით განსაზღვრულ ჟურნალებში გამოქვეყნებულ 2 (ორ) სამეცნიერო სტატიას;

ბ) 2008 წლის 20 მარტამდე ჩარიცხული ყველა მიმართულების დოქტორანტი, რომელიც წარმოადგენს 12.1 პუნქტით განსაზღვრულ ჟურნალებში გამოქვეყნებულ 1 (ერთ) სამეცნიერო სტატიას.

20.3. დებულებით განსაზღვრული სწავლის ვადის ამოწურვის შემთხვევაში, 2015 წლამდე ჩარიცხულ დოქტორანტებთან ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ამოქმედდეს წინამდებარე დებულების მე-12 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

20.4. სტატიის გამოქვეყნების პირობებთან დაკავშირებით, დოქტორანტებზე, რომლებიც 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით გამოაქვეყნებენ ან მიღებული აქვთ წერილობითი თანხმობა სტატიის გამოქვეყნების შესახებ, ვრცელდება 2014 წლის 5 ნოემბრის აკადემიური საბჭოს 105-ე სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების» მე-13 მუხლის მოთხოვნები და წინამდებარე დებულების მე-20 მუხლის 20.2 პუნქტით განსაზღვრული ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტების დათქმული პირობები.